ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5966140

ნომერი: AR1896593

თარიღი : 06.05.2022

გაცემის თარიღი : 02.06.2022

გაცნობის თარიღი : 06.06.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქუჩა, N 43;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ ჩახუნაშვილი პ/ნ 01024061809
- ქ. თბილისი, პეკინის გამზ. მე-2 კვ. კორპ #10, ბინა #46

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 01 მარტის №5826647 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 06 მაისს №AR1896593 განცხადებით მომართა თამაზ ჩახუნაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 01 მარტის

№5826647 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 იანვრის №5780626 ბრძანებით №01.72.14.037.343 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 01 მარტის №5826647 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 03 თებერვლიდან 2023 წლის 03 აგვისტოს ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 01 მარტის №5826647 ბრძანებაში ცვლილების შეტანას. კერძოდ, დამკვეთად ძველი მესაკუთრის - შპს ტოპ კაპიტალის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 432387623) ნაცვლად ახალი მესაკუთრის - შპს ეიმ ბილდინგ სითის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 400154319) დაფიქსირებას.
დღევანდელი მდგომარეობით, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №882022202053; მომზადების თარიღი: 25.03.2022 წ.) №01.72.14.037.343 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ეიმ ბილდინგ სითი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 400154319). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B21114060; მომზადების თარიღი: 15/11/2021წ.) შპს ეიმ ბილდინგ სითის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს გია ბასიაშვილი.
წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილია შპს ეიმ ბილდინგ სითის დირექტორის გია ბასიაშვილის მიერ განმცხადებლის - თამაზ ჩახუნაშვილის სახელზე გაცემული 2022 წლის 04 მაისის №22/04/05 მინდობილობა, რომელიც გულისხმობს მინდობილი პირის წარმომადგენლობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში. შესაბამისად დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დღევანდელი მდგომარეობით, №01.72.14.037.343 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ეიმ ბილდინგ სითი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 400154319), რომლის უფლებამოსილი წარმომადგენელი სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში და დამკვეთად დააფიქსიროს შპს ეიმ ბილდინგ სითი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 400154319).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თანახმად,
ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 01 მარტის №5826647 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ეიმ ბილდინგ სითი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 400154319).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 01 მარტის №5826647 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 01 მარტის №5826647 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.